

ნინელი ჭოხონელიძე

სამედიცინო ლექსიკა რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

ქართველთა სამკურნალო გამოცდილება საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ბუნებასა თუ მის ანატომიაზე საკუთარი დაკვირვების შედეგად ყალიბდებოდა, მაგრამ სხვა ხალხთა სამედიცინო მიღწევებიც მიღმა არ რჩებოდა. ეს ვითარება ნათლად წარმოჩნდება რ. ინანიშვილის მხატვრულ ენაშიც, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ხალხური, ისე თანამედროვე მედიცინის ამსახველ ლექსიკას. მწერალს სამედიცინო ტერმინოლოგია ისეთ კონტექსტებსა და სიტყვათმეხამებებში აქვს გამოყენებული, რომ მისი ტექსტი განუმეორებელ მხატვრულობას აღწევს.

რ. ინანიშვილის მიერ გამოყენებულ სამედიცინო ტერმინთა უმეტესობა, რა თქმა უნდა, სამწერლო ენიდან უკვე ცნობილია.

სახვევი ჩამწეოდა და ჭრილობიდან სისხლი წამომსვლოდა (გოლ. 231, 2).

ფეხები სულ **დასისხლიანებული** ჰქონდა, ისე დასჭროდა, თითქოს შუშის ნამტვრევებში ურბენიაო (ალერს. 149, ქვ. 2).

წითლად **დაფორაჯებული** წვრილი შიშველი ფეხები (გოლ. 275, 7).

დამწვარი, დაღარული, დაბღუნძული, დაპატარავებული, ჯაფისაგან და მზისაგან დგება მერცხლის გაღვიძებისას (ჩიტ. 53,5).

აუბარპალდა თვალები (ასულ. 255, 4).

თვალები **დაუდიდდა** (ალერს. 233, ქვ.9).

– არა, **ხველა** არ შემომჩნევია (შორ. 130, 17).

ხელისგულეებზე **ბებერები** დაასხდა (გოლ. 292,3).

ჩემდა გასაოცრად, არც რაიმე მქონდა ნატკენი, არც **დაგაზული** ვიყავი (კეთ. 329,12).

მეორე დღესვე ჩააწვინეს ურემში ის **დახუთული** სოლომონი (შორ. 218, 1).

თვალები ეწვის და ლამის **სახსრებში ამოიყრევინოს თითები** (ალერს. 425, ქვ.5).

ძალიან **დაგიგდო ავადმყოფობამ** (ჯაფ. 260, 13).

ისევ **კბილების კაწკაწს** ვებრძოდი (გოლ. 251,16).

ფების მარღვები უფეთქავდა (ალერს. 154,6).

ზოგჯერ მწერალი უკვე ნაცნობ სიტყვათა შეხამებებით ქმნის ახალი შინაარსის სინტაგმებს:

საფრთხის მოლოდინში მან იქამდე უნდა უბეროს საყვირს, სანამ **ფილტვები დაუსკდება** (ასულ. 3, ქვ.4).

აი, აქ იყო ყველაზე ძნელი **ცრემლის შეკავება**, მით უფრო, რომ მამა ხმას არ იღებდა, გაგუდულივით იდგა (გოლ. 231, 12).

დაისიებდა საფეთქლებს (ასულ. 189, ქვ. 2).

დამისივდა მუხლები, აი, ასე და, ჯერ ხომ ტკივილებმა გამტანჯა, ახლა ესა მკლავს, რომ **ხესავით გამიქვავდა** (ტ. I. 57,11).

ნერვი არ აუტოკდება სახეზე (ასულ. 267, 16).

ნერვების მოსაშლელი არ არის ბიჭო? (ასულ. 151, 7).

დაწყვეტაზე ჰქონდა ნერვები (გოლ. 114, 4).

ნელ-ნელა, **თითებზე ბერვით** ჩამოვიდა დერეფნიდან (შორ. 117, ქვ. 2).

პროზორი, სხვა დროს რომ **სმენის სიჩლუნგეს** უჩიოდა, ფიცხლად გასწორდებოდა, ლუკმა ლუკმა ყელში გაეჩხირებოდა, **სუნთქვა შეუფუზდებოდა**, თვალებს უმწეოდ დაახამხამებდა (ტ. I, 61, 24).

ამ ბიჭს **ყელი აქვს ჩამოსული** და იქნებ ამოუწიოო (შორ. 216,17).

სამედიცინო ლექსიკა დასტურდება იდიომებსა და შედარებებშიც:

მამასახლისს სიბერეში გასჭირვებია, **მატლი დაჰხვევია და ძაღლივით ყმუოდა** თურმე (ალერს. 151,11).

მოიცა, ახლა **წელი არ მოიწყვიტო** და სულ არ დაიყენო ეგ თვალები (ჯაფ. 56, ქვ.3).

ნუთუ დასაჯერებელია, რომ იქაც **დუღს სისხლი** და გაფხავებული ხანჯლის პირზე მიმოდიან სიყვარულის მდომნი? (ცისფ. 226, 1).

სულ ერთია, მაინც **გამოგაცლი ნეკნებს** (ასულ. 151, 15).

ისე მეძინება, თითქოს **ბანგი მქონდეს დალეული** (ცისფ. 241, 2).

ჩემი ბიჭის **მჭვლები დაგადგეთ** თქვენაო (სად. 162, ქვ.6).

ბებია ამიგნიდან გამოსძახა: – ფხაკუნანთ რძლის **მჭვალი არ დაგაყენო**, ცოტა წესიერად ელაპარაკე ყმაწვილებსაო! (ჩიტ.195,1).

კაცს... ლოყები **სიგამბდრისაგან ჩასცვივნოდა**, მაინც მარილიანად გამოიყურებოდა (მეგობ. 96,10).

ჯიხვა... **ცოფიანივით გარბის** (შორ. 117,15).

ბალახიანი ბელტები... **სალბუნებით გადააკრეს** შიშველ ადგილებზე (სად. 145, 12).

წუხილი ყველგანა შესაძლოა თვით დედამიწასაც უჭირს, **სახსრებში სტებს** და ქვემოდან გვევედრება რაღაცას (ალერს. 243, ქვ. 2).

გუგამ ერთ მესამეკლასელ ბიჭს ისეთი შემოსცხო, **ორტოტად წამოადინა ცხვირიდან სისხლი** (გოლ. 237, ქვ.10).

ახლა რომ ექიმები მსინჯავენ, მეუბნებიან, **ნაწიბურები გაქვს გულზეო** (ასულ. 142,3).

შენი **მუხლები**ს **ტკივილი** სიბერის ბრალი არ არის. ეგ ან გაგიცივდა, ან რაღაც ავადმყოფობა შეგეპარა. წამოდი ჩვენთან, თბილის-ქალაქში. იქ, ხომ იცი, აბანოები გვაქვს... ისეთი აბანოები გვაქვს, ჩაგსვამთ შიგ და ხელდახელ მოგირჩებო (შორ. 193, 12).

რიგ შემთხვევაში რ. ინანიშვილის ენაში დადასტურებული სამედიცინო ტერმინები სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობითაა მიღებული:

მე გადმომდის მისი **სახსრების სიმყიფე** და ტკივილი სხეულში (გოლ. 161, 25).

დღეს დილას კი **გავარგარებული** დამხვდა (შორ. 130,15).

ქეგლში ზოგი ტერმინი მხოლოდ რ. ინანიშვილის მიხედვითაა დამოწმებული:

გადაუწყალდა სახე თათარაანთ ქალს (გოლ. 367, 31).

მუხლები და მკერდი **დაიგაზა** (ასულ. 114, 21).

დაუწითლდა, **დაუჭარხლდა** ხელები (ასულ. 133,14).

დირექტორს ვუჩვენე ჯერ **ხეხერაიანი** ცერი (ჯაფ.152, 20).

ქეგლში მითითებულ ზოგ სიტყვას კი რ. ინანიშვილი ფრაზაში მისი გამოყენებით აცოცხლებს:

„**შტერება**“ უკვე მჭირს (მეგობ 106,7).

ი სოფელში მარტო ერთი **შტერებით** შეპყრობილი ქალიდა ცხოვრობს (გოლ. 343,15).

(კბილები) შენ უფრო წინა გაქვს **წამოყრილი**, კარგები ამოგივა (ასულ.151,23).

მერე ტკივილი რაღაც ცხელმავე **გაბუყებამ** შეცვალა (გოლ. 121,14).

წურბელებით კი უამრავ რამეს მკურნალობდა – შაკიკს, **წითელქარს**, **მოგლილს**, დაბეჟილს, ჯდომსა და სხვ. (შორ. 216, 5).

გვხვდება ახალი, ძირითადად რთული წარმოების ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც მანამდე ნაკლებად თუ ყოფილა გამოყენებული:

გულაღმა ვგდივარ ცხენისაგან ნათრევი, დაჩეჩქვილი, **თვალეში სისხლჩაღებულნი** (ალერს. 307, 3).

დათია ჯერ შეკრთა, მერე გაშეშდა, **თვალეში დაეკაკლა** (ტ. I, 72, ქვ. 6).

ცხვირწითელა და **სახედახუწუწებულმა** ცანცარა გოგონამ ცივი წყალი გადმოგვასხა ამაღელვებელი შეხვედრის მომლოდინეთ (ცისფ. 200, 6).

უბნის უფროსს ყელში უნდა ამოებჯინოს **ქონმოღებულნი გული** (ასულ. 3, ქვ. 10).

ძუძუსთავები ამტკივდა ცუდად (გოლ. 204, 5)

მამა ვითომდა **წელნატკენი** ადგა (გოლ. 196, 6).

პაპას... **ცუდი ფერი** ედო, **მოდურჯო-მოწითალო**, თვალეშიც უფრო, მეტად წასვლოდა უკან. სუნთქვა უჭირდა, ახველებდა (გოლ. 60, 18).

ხელის მტევნებიც – უხეში, **მოდუნულფრჩხილებიანი** (ასულ. 148, 12).

ტერფები მძიმე ჰქონდა, **მიწისფერი, გარქოვანებული** (ასულ. 148, 11).

თებროს ბიჭი **მოდებილოდ** არ მოეჩვენა (გოლ. 264, 1).

ქართული ხალხური მკურნალობისთვის დამახასიათებელი ხერხები (გარდა საკუთარისა) ეფუძნება ძველი სამედიცინო წიგნებიდან ცნობილ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა გამოცდილებას. „ეს სისტემა იმდენად შესისხლბორცებულია ქართველი ხალხის ბუნებასთან, რომ შესულია ქართულ სალაპარაკო ენაში, როგორც მისი ორგანული ნაწილი“ [კოტეტიშვილი 1985: 40]. ეს ვითარება კარგადაა წარმოჩენილი მწერლის მიერ გამოყენებული ხალხური სამედიცინო ტერმინებითაც.

ცოფს **წყლის შიშსაც** ეძახიან, თუ ცხოველი წყალს სვამს და საჭმელსაც აუღელვებლად მიირთმევს, არავითარი ცოფი არ არის საეჭვო (შორ. 108, ქვ. 3). შდრ. ძაღლის სიბრაზიანე სხვა მრავალ ნიშანთანგან ესეცაა... მწოვედ მოშივდების და არასა სჭამს. წყალი მოსწყურდების და წყალსა არა სვამს. და ასრეცა იქმნების, რომე წყალი

ნახოს, გაექცევის და თუ წყალსა ნახავს შიშითა ათრთოლდების და სიარულშიგა ხშირხშირად წაბორკილდების (იადიგ. 546,9).

ხალხური მკურნალობის საშუალებად ყველასთვის ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო დანიშნულების საგნებიც გამოიყენებოდა. მათი აღმნიშვნელი სახელებიც სადა და უბრალოა. უმეტესი მათგანი ძველი სამედიცინო წიგნებიდანაცაა ცნობილი. ესენია: **მარილი, ძმარი, შაბი, შაბიამანი, არაყი, ლობიო, ცხვრის შარდი, ცხენის ნაკელი, წურბელა...**

კბილის მკურნალობის... ათასი წესი იცოდა: გავარვარებული **წინდის ჩხირი, გახურებული მარილი, ცხელი ძმარი, ცხვრის შარდი, ჯოჯობეთა ბალახის წვენი, შაბი, შაბიამანი**, თავი და თავი კი – **ამოდება** (შორ. 217, 15).

გაზით მტკივან კბილებს აგლეჯდა განურჩევლად ყველას, კაცი იყო თუ ქალი, **წურბელებით** კი უამრავ რამეს მკურნალობდა – **შაკიკს, წითელქარს, მოგლილს, დაბეყილს, ჯდომსა** და სხვა (შორ. 216, 12).

მიუყვანდა ბებია ან დედა **ანგინიან** ბიჭს, მიუტანდა ერთ ხელადა ღვინოს და შეევედრებოდა: – თავს შემოგეველე, სოსი, ერთი ამ ბიჭს **ყელი აქვს ჩამოსული და იქნებ ამოუწიო** (შორ. 216. ქვ.10).

იცოდა **ყელის ამოწევის** მეორე ხერხიც. ამას „**ქალაქის დანახვება**“ ერქვა, ბიჭს, რომლისთვისაც **ყელი უნდა ამოეწია**, სახეგაბრწყინებული მიუახლოვდებოდა, ფერებ-ფერებით ეტყოდა: – მაშ, **ქალაქის დანახვა** გინდა შენაო! – **ნიკაპქვეშ** ბრტყელ ქამარს ამოსდებდა, ასწევდა მაღლა, თავის მკერდზე უფრო მაღლა, ერთი ორჯერ **დააჯუნჯრუხებდა** და ისიც მზად იყო. იმ აღრიალებულ ბიჭსაც სიცილით დაადევნებდა – ხომ დაინახე ქალაქიო! (შორ. 217,9).

მოჰბანეს **არაყით** ჭრილობა (მაღლის ნაკბენი), ზედ დაადეს შუაზე **გაპობილი ლობიოები** და შეუხვიეს (კეთ. 201, 10).

სახვევი ჩამწეოდა და ჭრილობიდან სისხლი წამომვარდა... **არყიანი საფენი** დამადეს (გოლ. 231,2).

სამკურნალო წყლის აბაზანების გამოყენებაც კარგადაა ცნობილი ხალხურ მედიცინაში. ეს მწერლის ნათელ თვალს არ გამორჩენია: **გოგირდის აბანოების** ამბავი თქვენც გეცოდინებათ. ამ აბანოების ამბავი მთელმა ქვეყნიერებამ იცის და თქვენც გეცოდინებათ. აიყვანეს და თბილ, სასიამოვნო წყლით სავსე აბაზანაში ჩასვეს... ცო-

ტაოდენი შვება პირველ დღეებშივე იგრძნო და ლოცავდა ექიმებს და აქებდა თბილის-ქალაქის წყალს (შორ. 194,15).

ხალხური მედიცინიდან კარგად ცნობილი ავადმყოფის ფსიქოლოგიური მომზადება, მისი მოვლა და კვება რ. ინანიშვილის ენაში მხატვრულადაა აღწერილი. ერთი შეხედვით მარტივი ლექსიკით მწერალი ნათლად წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რაც ძველი დროისა და თანამედროვე ავადმყოფების ფიზიკურ მდგომარეობას და მათ მოვლა-პატრონობას უკავშირდება.

პაპაჩემის ბიძას, სოლომონს, ჭკალი დაადგა... ჯერ წელი გაუკავა და ლეკდადევნებულ ქალივით აკივლა, მერე მთლად **დაბღუნდა, გაასაცოდავა**. აფრინეს შინაურები სოსიასთან. მოვიდა სოსია, ნახა. მოურბენინეს ღვინო და **მშრალად მოხარშული** ღორის ხორცი. ისევ დალია და ისევ დააყოლა ღორის ხორცი. თან სულ სხვა რაღაცეებზე ლაპარაკობდა – ტყეზე, შეშაზე, არაყის ხდაზე. ბოლოს თქვა: მუხროვანში უნდა წაიყვანოთ და **ცხენის ნაკელში** ჩააწვინოთო; **ცხენის დამწვარ ნაკელში**. გასთხრით, ჩააწვენთ ისე, რომ მარტო თავი გამოუჩნდეს, და მორჩენილიაო (შორ. 217, ქვ.11).

შდრ. იდგა ლარა, უწურავდა სხვადასხვა გვარ წვენებს, უწურავდა ღვიძლსა და ხორცსაც და პატარა ბავშვივით აძლევდა კოვზით, **ცალი ხელით თავწამოწეულს** (გოლ. 63,38).

გათხარეს ის **ცხენის ნაკელი**, გახადეს სოლომონს და ჩააწვინეს. ზემოდანაც ბლომად დააყარეს. **ცხენის ნაკელი** მხურვალეა, სცხელა სოლომონს, მაგრამ უნდა მოითმინოს და ითმენს. ერთი საათი არ გასულა და, – მაჭამეთ რამე, შიმშილით ვკვდებიო. მიუჯდა ცოლი, წამოუწია თავი და აჭამა. ღვინოც დამალევინეთ ცოტაო, ღვინოც დალევინეს, კიდევ დამალევინეთო, კიდევ დაალევინეს. ახლა მეძინებაო, და დაიძინა. ეძინა ის დღე, სადილობიდან საღამომდე, საღამოს ისევ მოიკითხა საჭმელი. ჭამა, ღვინოც დალია. ისევ დაიძინა. ეძინა ის ღამე. გათენებისას გაეღვიძა და, – მგონია, მოვრჩიო, აბა, წამომაცენეთო (შორ. 218,6).

შდრ. კიდევ ყველაზე უკეთესი ტლე და წამალი ეს არის, კაცსა რომე სიგრილისა და ქარისაგან ასოები და სახსრები სტკიოდეს: მოიტანე ახალი ძროხის ნეხვი და ტკივანსა ალაგზედა თბილ თბილი დასდევ. და ტკივილსა და სიმსივნესა ორსავე უშველის, გაუგდებს და გაუქარვებს (იად. 486, 25).

მწერალი კარგად იცნობს ხალხურ მედიცინაში გამოყენებულ სამკურნალო მცენარეთა სახელებს, რომლებსაც მხატვრულად და ამასთანავე ლექსიკოგრაფიული სიზუსტითაც განმარტავს, რითაც გვაზიარებს იმ დიდ სამედიცინო სიბრძნეს, რაც ხალხს საუკუნეთა განმავლობაში მცენარეთა შეცნობით გაუთავისებია.

ბაია რომ დაიყვავილებს, ესე იგი ყვითელი გვირგვინები ჩამო-
ეშლება, მუხუდოზე ცოტა მსხვილი ეკლიანი კაკლებიდა რჩება. ძვე-
ლად ამ კაკლებით „**ცხვირს იტებდნენ**“. რას ჰქვია, „**ცხვირს იტებ-
დნენ?!**“ აი, რას: თუ ვინმეს სისხლი წამოაწვებოდა სახეზე, დღევან-
დელი სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ვინმეს **წნევა აუწევდა**, მო-
სწყვეტდა ბაიას ეკლიან კაკალს მოგრძო ყუნწიანად, შეიყოფდა ნეს-
ტოში, დაირტყამდა ზემოდან ხელს, **წამოიგდებინებდა სისხლს** და
წნევა მოეშვებოდა, ამიტომ ბაია ყვავილს **ცხვირისსატებელასაც** უწო-
დებენ (ასულ. 30,8).

ჭრილობა გამეხსნა, ისევ სისხლი წამომივიდა, თამაზა გაიქცა,
ახალი **მრავალპარღები** მოიტანა და და ისევ თვითონ შემიხვია
(გოლ. 230, ქვ.6).

კატაბალახას წვეთები მიეცით, რამდენი წლისაც არის, იმდენი
წვეთით (გოლ. 241, 7).

ლიმონა მსხალი ვინ გააქრო, სიცხიანი ავადმყოფის გულის
მპოვნელი, ნაღვინევთა მსხნელიც (გოლ. 149, 8).

მწერალს გამოყენებული აქვს ხალხში შემონახული წარმარ-
თული დროის სატაძრო მედიცინის ამსახველი ლექსიკაც. კაკლებს...
ჰქონდათ **იდუმალიანი** ხვრელები, ნუჟრები, ფულუროები: ყივანახ-
ველიან ბავშვს თუ იმათ **ფესვებქვეშ** გააძვრენდი, უკეთეს წამალს
აღარ ინატრებდი (ჩიტ. 264, ქვ. 4).

ჯიბეში შავტარა დანა მედო და არ შემშინებია. როცა **შავტარა
დანა გიდევს, ავი სულელები ვერ მოგეკარებიან** (შორ. 59,19).

მწერლისათვის ნაცნობი თემაა ხალხში შემორჩენილი სიტყ-
ვით მკურნალობა, „სიტყვით აქიმობა“ და მისთვის დამახასიათებ-
ელი ლექსიკა.

გულო, ნუ შეგეშინდება, გულო ჩაჯექ ალაგასაო (გოლ. 287,1).

ბებია ჩურჩულით ამბობდა: – **შენი სიცხე – მე, შენი ხველა –
მე, შენი ავადმყოფობა – მე, შენი სატკივარი – მე** (შორ. 135,18).

დავენაცვლე და **დავეფერფლე** მე ამას, **წამლად დავენაყე** და **მალამოდ დავედე** მე ამას, ჩემს მზის სიხარულის ბიჰს, ჩემს მარგალიტის კიჭებიან ბიჰს, ჩემს ბროლის კიჭებიან ბიჰს (ალერს. 85,20).

ღვთიშობელო, **შენ პუპუებს შემოვეფედრები**, - ვგრე იცოდა შეხვეწნა, **უშველე იმ ჩვენი ცოდვებისთვის გადადებულებსაო** (ერთტ. 52, 10).

- **შენ გაიხარე** და **გამრავლდი** (ალერს. 167,25).

ბებია მეტყოდა, - ნუ გეშინია, **შენ ოთხივ კუთხივ ჯვარი გწერიაო** - და აღარ მეშინოდა (კეთ. 6,9).

დედა შემოველოს იმას (გაიოზს) (ტ. I, 65,6).

შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარიო (ალერს. 23,23).

რა დააძინებს, **დედა მოუკვდეს**, ორმოცზე მეტი სიცხე აქვს (ალერს. 291, 2).

დავწეები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოსი სულ თავით დამესვენება - ვიხსენებ ყმაწვილურ ლოცვას (ცისფ. 193, 16).

მწერლის ენაში ვხვდებით ასევე თანამედროვე მედიცინისთვის დამახასიათებელ როგორც საკუთრივ ქართულ, ისე უცხოურ ლექსიკას:

საავადმყოფო დიდი შენობა იყო (გოლ. 334, ქვ.5).

შემინებული **უზნის ექიმი** ეზოში ვედარ ბედავდა შემოსვლას (გოლ. 122, 2).

კაცი ჩუმად იდგა, ხელები უკან ჰქონდა შემოწყობილი, კედელს მიჰყრდნობოდა, მარცხენა ნესტოსთან **ჩაშავებული იარა** ჰქონდა, თვითონაც შავი იყო, რაღაც ცუდად შავი. ამას ნამდვილად **კანის კიბო** აქვს-მეთქი, გავიფიქრე, თინამაც ეს ჩამჩურჩულა (გოლ. 335, 15).

ჰო, ჰო, ნამდვილი ფილტვების ანთება (გოლ. 222, 12).

დას რამდენჯერმე ჰქონია **ღვიძლის შეტევა**, ბავშვებიც წარამარა ავადმყოფობენო (გოლ. 74,1).

მაინც, მიდი და, გული რომ არაფერზე გეთანადრებოდეს, **ონკოლოგიურშიც** გაესინჯეო (გოლ. 334, 10).

პოლიკლინიკაში ეთქვათ, ტაგიაშვილი ნახეთ, იმაზე უკეთესს ვერავის ეჩვენებითო (გოლ. 335, 2).

იქნებ ექიმიც იყოს საჭირო, **ნევროპათოლოგი** (გოლ. 75,31).

აი, ნახეთო, ნახეთო, თითით უჩვენებდნენ დედას, – ყველა ნიშანი აქვს **ბოტკინის დაავადებისო** (გოლ. 242,8).

ლარას ცნობილი მამა გაათავისუფლეს, – მთლად **დავრდომილი, დისტროფირებული** (გოლ 51, 16).

მინისტრის მოადგილის გვერდით სქელი, სანიმუშო ჰიპერტონიკი კაცი იჯდა (გოლგ. 349, ქვ.10).

შავი ტყავის ჩანთიდან წითელრეზინებიანი **ფონენდოსკოპი** ამოიღო (შორ.130, 6).

(ქალი) ისევ თმაზე იდებდა უკვე **რეცეპტიან** ხელს (გოლ. 336, 1).

გაგიკეთებენ **პუნქციას, დათესავენ** და ღმერთია შემწე, უთუოდ არაფერი იქნებაო (გოლ. 338, 16).

ახლა ისეთ **ოპერაციებს** აკეთებენ... (გოლ. 338, 18).

მანც გამოდიოდა გარეთ ნაპატიმრალის ჯანმრთელობის ამბები,– **ჰემოგლობინი** ჩვიდმეტამდე ჰქონდა დაცემული (გოლ. 53, 36).

ნისტატიანი ტეტრაციკლინი მივცეთ, ოთხ საათში ერთხელ, ნახევარ-ნახევარი აბი, **სოდიანი წყალი** გამოვავლოთ დღეში რამდენჯერმე, **სტრეპტოციდით**, ორი **სტრეპტოციდი** გახსენით ერთ ჭიქა სოდიან წყალში და გაუვლის (შორ. 131, 9).

– **მიქსტურაც** ხომ არ მიგვეცა, ქალბატონო ელისო, ოცდათვრამეტი და სამი ხაზი აქვს ახლაც (შორ. 131,15).

რასაკვირველია, ზემოდასახელებულ ტერმინთა უმეტესობა ქველში არაა მითითებული, რადგან „მწერლის მიერ შერჩეული ყველა სიტყვა, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის კუთვნილებად ვერ იქცევა, თუმცაღა მწერლობის ღირსება სწორედ იმ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის წარმოჩენაცაა, რომელსაც მეტი უნარი აქვს საერთო-სახალხო ენის კუთვნილებად იქცეს“ [კოშორიძე 2005: 65].

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, რ. ინანიშვილის მხატვრულ ენაში დასტურდება როგორც ხალხური, ისე სამწერლო ქართულში არსებული და ასევე – ახალი, ნასესხები სამედიცინო ლექსიკა. ყურადსაღებია ასევე მის მიერ სხვადასხვა ენობრივი საშუალებით შექმნილი სამედიცინო ლექსიკური ერთეულები.

ლიტერატურა

კოტეტიშვილი 1985 – დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ელენე კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი; ახალი რედაქცია, 2008-2010 – ტ. I, II, რედაქ. ავთ. არაბული, თბილისი.

წყაროები

ალერს. – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.

ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.

გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.

კეთ. – კეთილი მიწა, თბ., 1984.

სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.

ტ. I – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, 1953-1968.

შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.

ჩიტ. – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.

ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.

ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhonelidze

Medical Vocabulary in R. Inanishvili's Language

Summary

The paper deals with the medical vocabulary attested in R. Inanishvili's works. It shows that a part of the vocabulary is known from the written language and some terms are referenced by R. Inanishvili's works in the Georgian Language Explanatory Dictionary, e. g. **cxvirsatexela**, **štereba**, **gabužeba**, **gadauçqaldeba**, **garkovanebuli**, etc. Sometimes the author coins new syntagms by connecting common words and gives them new semantics, e.g. **konmodebuli guli**, **γvizlis šeteva**, **saxsrebis simçipe**, **çelis amoçeva**, **kalakis danaxveba**, **çqlis šiši**, **tvalebi daçkaçleba**, etc.

R. Inanishvili also uses such lexemes that have not been attested in GLED yet, e.g. **anginiani**, **qivanaxveliani**, **modebilo**, **sisxlçadedebuli**, **cxvirçitela**, **saxedaxuçuçebuli**, **daažunžruxebis**, etc. In this regard we should also name newly mentioned terms **onkologiuri**, **hipertoniki**, **distropirebuli**, etc.